ოქმი N19

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2017 წლის 29 სექტემბერი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რკინიგზის გადასასვლელებთან საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

2. „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: რ. შულაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

3. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: რ. შულაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

4. „სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: რ. შულაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: რ. შულაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: რ. შულაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

7. „ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

8. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი);

9. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ე. წურწუმიას განცხადება.

(მომხსენებელი: ე. წურწუმია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, ლ. ცატავა, ნ. შუშანია, ლ. ქავთარაძე, კ. კაკულია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რკინიგზის გადასასვლელებთან საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რკინიგზის გადასასვლელებთან საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის განმარტებით მუნიციპალიტეტის გამგეობაში შევიდა საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის წერილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ რკინიგზის გადასასვლელებთან საგზაო ნიშნების განთავსების თაობაზე, რის საფუძველზეც, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტო და სარკინიგზო ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილების მიზნით მომზადდა დადგენილების პროექტი, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განავსდება შემდეგი საგზაო ნიშნები: ქვემო ქვალონისა და შუა ქვალონის საავტომობილო გზაზე რკინიგზის გადასასვლელთან - საგზაო ნიშანი „უშლაგბაუმო გადასასვლელი"; ქვემო ქვალონისა და შუა ქვალონის საავტომობილო გზაზე რკინიგზის გადასასვლელთან - საგზაო ნიშანი „რკინიგზის გადასასვლელთან მიახლოების ნიშანი"; ახალსოფლის საავტომობილო გზაზე ,,რკინიგზის გადასასვლელთან - საგზაო ნიშანი უშლაგბაუმო გადასასვლელი"; ნოჯიხევის საავტომობილო გზაზე „რკინიგზის გადასასვლელთან - საგზაო ნიშანი უშლაგბაუმო გადასასვლელი". გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, ლ. ცატავა, ნ. შუშანია, კ. კაკულია)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N32 ოქმს თან ერთვის)

2. „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: რ. შულაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: რ. შულაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დაინტერესდა დაწესებულების პერსონალის და ხელმძღვანელის სტანდარტები, ვის მიერ იქნა შემუშავებული და კვალიფიციური ხელმძღვანელების შერჩევა როგორ განხორციელდება?

რ. შულაია - გამომსვლელმა განმარტა, რომ ინსტრუქციების სხვადასხვა ვარიანტი მიღებულ იქნა შესაბამისი სამინისტროდან და მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად საბოლოოდ შეჯერებული ვარიანტი იქნა შერჩეული. ეს არის გარდამავალი პერიოდი, ეტაპოვრივად განხორციელდება ხელმძღვანელების და საბავშვო ბაღების პერსონალის გადამზადება, რის შემდგომაც განხორციელდება მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის ერთიანი დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 საკითხებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის განმარტებით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განსახორციელებელ ქმედებათა შორის, გარდამავალი პერიოდის პირველი ვალდებულებაა შემუშავდეს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 1 ოქტომბრამდე დამტკიცებულ იქნას ის ნორმატიული აქტები, რომლებიც წარმოდგენილია გამგეობის მიერ. ნორმატიული აქტების მიღებით მუნიციპალიტეტი გააგრძელებს ბავშვთა სათანადო განვითარებისათვის და სკოლისათვის მოსამზადებლად ძლიერი და მდგრადი

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის შექმნას, სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობას, მიუხედავად ბავშვის ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლებისა; საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობებით დადგენილი განათლების უფლებისა და ბავშვისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სხვა უფლებების უზრუნველყოფას; სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისი მომსახურების დასანერგავად სათანადო პირობების შექმნას; სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების სრული ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას; ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და საზოგადოებასთან ეფექტიანი ურთიერთობის უზრუნველყოფას. საკრებულოს მიერ მისაღები დადგენილებების მიზანია როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების განსაზღვრა. რომელიც მოიცავს ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივ ინსტრუქციებს, მისი ქცევისა და ეთიკის ნორმებს აღსაზრდელებთან ურთიერთობის დროს, აღსაზრდელის ოჯახთან ურთიერთობისა და თანამშრომლებთან ურთიერთობის დროს, ასევე სხვა სფეროებში საქმიანობის დროს. კერძოდ, განმარტებულია, რომ პერსონალი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია საკუთარი საქმიანობის განხორციელების დროს, ზრუნავს პოზიტიული და კოლეგიალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, როგორც აღსაზრდელებთან, ასევე მის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თანამშრომლებთან. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ქავთარაძე, ფ. შონია, ლ. ცატავა, ნ. შუშანია)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N33 ოქმს თან ერთვის)

3. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: რ. შულაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: რ. შულაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0
(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ქავთარაძე, ფ. შონია, ლ. ცატავა, ნ. შუშანია)
(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N34 ოქმს თან ერთვის)

4. „სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: რ. შულაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: რ. შულაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ქავთარაძე, ფ. შონია, ლ. ცატავა, ნ. შუშანია)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N35 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: რ. შულაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: რ. შულაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ქავთარაძე, ფ. შონია, ლ. ცატავა, ნ. შუშანია)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N36 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: რ. შულაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: რ. შულაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ქავთარაძე, ფ. შონია, ლ. ცატავა, ნ. შუშანია)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N37 ოქმს თან ერთვის)

7. „ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის განმარტებით ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობამ კოლექტიური განცხადებით მიმართა გამგებლის წარმომადგენელს ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შ. ბუკიას, რომელიც თავის მხრივ მოხსენებითი ბარათით შემოვიდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელთან, ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების თაობაზე, რაზედაც კანონმდებლობის შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, გამგეობის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა შესაბამისი ინფორმაცია, მომზადა მოსახლეობის გამოკითხვის ფორმა და გამგებლის წარმომადგენელს ხეთის ადმინისტრაცულ ერთეულში მოსახლეობის ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით დაეგზავნა წერილი საჯარო განხილვის მოწყობის შესახებ. 2017 წლის 31 ივლისს გაიმართა საჯარო განხილვა. საჯარო განხილვას ესწრებოდა 107 წევრი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ გოგი მამფორია როგორც სპორტსმენი თამაშობდა ხობის „კოლხეთში“ და თავისი ოსტატობით გულშემატკივართა დიდ მოწონებასა და სიყვარულს იმსახურებდა. იგი ათეულობით წლების მანძილზე ხობის რაიონის სოფელ ხეთის საშუალო სკოლაში მოღვაწეობდა გეოგრაფიის მასწავლებელად, იყო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე და პირნათლად ემსახურებოდა განათლებული და

ჯანსაღი თაობის აღზრდის საქმეს. გოგი მამფორია გარდაიცვალა 1993 წელს და ადგილობრივი მოსახლეობა სტადიონისთვის მისი სახელის მინიჭებით ცდილობს გამოხატოს ის უდიდესი პატივისცემა, რაც წლების მანძილზე დაიმსახურა. გამომსვლელებმა ერთხმად მხარი დაუჭირეს ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭებას. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „პ" ქვეპუნქტის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობა უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში უზრუნველყოს გეოგრაფიული ობიექტების სახელდება, თუმცა „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო", გამომდინარე იქედან, რომ გ. მამფორია გარდაიცვალა 1993 წელს, მთავრობის დადგენილებით დადგენილი ნორმის შესაბამისად მომზადდა განკარგულების პროექტი „ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი მიღება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, ლ. ცატავა, ნ. შუშანია)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N33 ოქმს თან ერთვის)

8. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის,
საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა,
ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების
სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიპალიტეტის გამგეობის განმარტებით, მუნიციპალიტეტის გამგეობაში არაერთი განცხადება შევიდა საოპერაციო თანხების ნაწილობრივ დაფინანსების თაობაზე. 2017 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, გაცემული საგარანტიო წერილებით აღნიშნულ დახმარებაზე ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხა არასაკმარისი აღმოჩნდა, რის გამოც მიზანშეწონილად ჩაითვალა ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2017 წლის მუნიციპალურ პროგრამაში „საოპერაციო თანხის ნაწილობრივ დაფინანსების“ მუხლი გაზრდილიყო 35000 (ოცდათხუთხმეტი ათასი) ლარით, ასევე 9000 (ცხრაათასი) ლარი გადმოტანილ იქნა „c" ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევის თანხის ნაწილობრივ დაფინანსების დახმარების მუხლში, სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია) სახლების შესაკეთებლად ერთჯერადი თანხით დახმარების მუხლიდან. შესაბამისად უსახლკაროდ დარჩენილთათვის ბინის ქირის გადასახადის დახმარება განისაზღვრა 700 (შვიდასი) ლარით, „c" ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევის დაფინანსების დახმარება 27500 (ოცდაშვიდიათას ხუთასი) ლარით, მრავალშვილიანთა ოჯახების

დახმარება 11250 (თერთმეტიათას ორასორმოცდაათი) ლარით, 100 და 100 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეთა დახმარება 300 (სამასი) ლარით და სამამულო ომის ვეტერანების საცხრამაისო დახმარება 500 (ხუთასი) ლარით. სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია) სახლების შესაკეთებლად ერთჯერადი თანხით დახმარება განისაზღვრა 38140 (ოცდათვრამეტი ათას ასორმოცი) ლარით, ხოლო დახმარებების საოპერაციო ხარჯების დაფინანსება განისაზღვრა 106000 (ას ექვსი ათასი) ლარით. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ფ. შონია, ლ. ცატავა, ნ. შუშანია)

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N34 ოქმს თან ერთვის)

9. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ე. წურწუმიას განცხადება.

(მომხსენებელი: ე. წურწუმია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი).

მოისმინეს: ე. წურწუმია - გამომსვლელი მიესალმა საკრებულოს წევრებს და აღნიშნა, რომ მან წინა სხდომაზე განაცხადა, თუ მუნიციპალიტეტში რაღაც განსაკუთრებული არ მოხდებოდა, ახალი მოწვევის საკრებულოს სხდომამდე საკრებულოში განცხადებას არ გააკეთებდა, მაგრამ ხობში ისეთი რაღაცეები ხდება უნდა ამაზე ინფორმაცია მიაწოდოს საკრებულოს წევრებს: „ჩემი სტუდენტობის პერიოდიდან დღემდე შემრჩა ურთიერთობა საქართველოს სამეცნიერო და აკადემიურ წრეებთან , რომლებსაც ახლო ურთიერთობები აქვთ ქართული ოცნების ხელმძღვანელ პირებთან. იყო პერიოდი ქართული ოცნების ლიდერები მოვიდნენ ჩემთან სახლში და შემომთავაზეს, ქართული ოცნების რაიონული ორგანიზაციის შტაბის ხელმძღვანელობა, რაზედაც უარი მიიღეს ჩემგან, მაგრამ ამ ხალხთან მეგობრული ურთიერთობა დღემდე გამაჩნია. ჩემი თბილისში ვიზიტისას შემთხვევით შევხვდი ამ ხალხს და ლაპარაკი ჩამოვარდა ხობის მუნიციპალიტეტზე და ჩემს გამოცდილებაზე. ისიც გაუგიათ, ჩემთან უმიზნო კამათს საკრებულოში

ზოგიერთებმა, კინაღამ სკამებიც გადააყოლეს. ჩემისთანა კაცს საკრებულოს სხდომაზე პირდაპირ რომ გააკრიტიკებს კაცი, იმდენი ჭკუა მაინც უნდა ეყოს რომ გაჩუმდეს, რის შემდეგაც ზოგიერთები თურმე პარტიული სიიდანაც კი ამოუღიათ. ამ ბიჭების ქართული ოცნების სიიდან ამოღების ამბავი გაუგია ერთ კეთილ კაცს, სადაც საჭიროა იქ მოუხსენებია, რომელსაც მოწყალება გამოუჩენია და ზოგიერთები სიებში დაუბრუნებიათ და ზოგიც თანამდებობიდანაც არ გადაუყენებია. გაგიკვირდებათ, მაგრამ მე ამ ხალხთან მომავალშიც ვარჩევ ისევ საქმიანობას, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩემთან კამათში ალბათ გაიზარდნენ, თან მაგარი შიში ჭამეს და ამ მოწვევის საკრებულოს დასასრულს ძლივს მაღირსეს ფრაქციის შექმნა. ეს ხალხი თვითმართველობის არჩევნების დასრულების შემდგომ მოვლენ და მეტყვიან, აგერაა კომისია ბატონო ედიშერ, ხელი დაადე და ღმერთმა შეგარგოსო. მე ისიც ვიცი, რომ ეს კომისიები უკვე გადანაწილებული იქნება და თავმჯდომარეებიც იქნება შერჩეული, მაგრამ ვურჩევ მეგობრულად მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და ქართული ოცნების ხელმძღვანელ პირებს, ერთი-ორი კომისია ოპოზიციისთვის შემოინახოს. ისე, როგორც ვიცი მომავალ საკრებულოში იქნებიან ექიმები, რომელთაც მივესალმები, მაგრამ საკრებულოს სჭირდება კვალიფიციური ისტორიკოსიც და აგერ ვარ მე. ახლა იტყვით თუ ხალხმა ხმა არ მოგცათ ჩვენ რა გავაკეთოთო, არაფერი, უბრალოდ ხელი არ შეგვიშალოთ. ზედა ეშელონებიდან არ ხდება ზეწოლები, მაგრამ ქვედა ფენებში მიდის თურმე საუბრები, რომ ოკუპანტი პუტინის მომხრეებს არ მისცეთ ხმა და დანარჩენს ვისაც გინდათ იმას მიეცითო. ჩემის აზრით აუცილებელი არაა ქართული ოცნება უმრავლესობით მოვიდეს საკრებულოში, იყოს ოპოზიციაც და დაბალანსებული საკრებულო, რომელიც ისევ მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისთვის იქნება კარგი" - განაცხადა ედიშერ წურწუმიამ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მესამე მოწვევის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ლაშა ცატავა
5. დოდო გაბუნია
6. ლევან ქავთარაძე
7. ნუგზარ შუშანია
8. ტარიელ ალექსანდრია
9. თენგიზ აბაკელია
10. როსტევან გვარამია
11. მალხაზ ლაგვილავა
12. ვასილ კუკავა
13. ედიშერ წურწუმია
14. მალხაზ ყურუა
15. კახა მიქაბერიძე
16. მერაბ ფილიპია
17. ბეჟან ქირია
18. მელორ გელანტია
19. შადიმან ჭილაია
20. მზია ლემონჯარია
21. გენადი ზარანდია
22. იგორ გოგოლაძე
23. კახა ლატარია
24. ქეთევან ოდიშარია
25. დრიდონ შონია
26. კობა კაკულია
27. გენადი ქამანაია
28. მერაბ ნადარაია